

კ. კეკელიძე

## ქართული ლიტერატურის ისტორია და უნივერსიტეტი

ქართულ ლიტერატურას, მეტი თუ არა, თექვსმეტსაუკუნოვანი ისტორია მაინც აქვს, — ლიტერატურული ძეგლები ჩვენ უკვე მეხუთე საუკუნიდან მოგვეპოება. — ამ მხრივ ჩვენი ლიტერატურა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურაა. დიდია და განუზომელი, მეცნიერული თვალსაზრისით. ამ ლიტერატურის მნიშვნელობა; იმაში აღბეჭდილია ქართველი ერის კულტურული-ისტორიული ცხოვრების პერიპეტიები. მის ძეგლებში, ორიგინალურსა და ნათარგმნში, გამოვლინებულია უდაო ნიშნები ქართველთა შემოქმედებითი პოტენციისა. ქართულ ლიტერატურას მტკიცე, განუყრელი კავშირი ჰქონდა წინააზიის და დასავლეთის ხალხთა ლიტერატურასთან. სახელდობრ: სპარსულთან, სომხურთან, სირიულთან, არაბულთან. ბერძნულთან, რუსულთან და ევროპულთან; ამიტომ მან შემოგვინახა უძველესი პერიოდის თარგმანებში ისეთი ძეგლები, რომელთა ორიგინალი დროთა მსვლელობაში დაკარგულა და მეცნიერებაში საძიებელი გამხდარა. ქართული ლიტერატურის ასეთი მნიშვნელობა დღეს შეგნებულია ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ქვეყნებშიც, რომელთაც, არც ისე შორეულ წარსულში, არავითარი წარმოდგენა საქართველოზე არ ჰქონდათ. 1902 წელს პროფ. ნ. მარმადაიძემ ავსტრიულ-უნგრული მიზნით მოინახულეს მახლობელი აღმოსავლეთი. სადაც გადარჩენილა და შემონახულა ძველი ქართული ხელნაწერების უმდიდრესი კოლექცია. 1903 წელს გამოქვეყნდა რუსულ ენაზე მოკლე წინასწარი ანგარიში ნიკო მარისა ამ მოგზაურობის შესახებ. როცა ეს ანგარიში გაიცნო გამოჩენილმა ისტორიკოსმა, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორმა ა. ჰარნაკმა, პრუსიის სამეცნიერო აკადემიის ორგანოში მოათავსა შემდეგი სიტყვები: „ამ ანგარიშიდან ნათლად ჩანს, რომ უძველეს ხალხთა უდიდეს ბერძნულ-ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნიან ქართველებიც; გამოჩნდებიან განა ჩვენში, გერმანიაში, ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებიც შესძლებენ შეისწავლონ ენა, მწერლობა და ისტორია ამ ხალხისა, რომელსაც თავისი ძველი კულტურით ძმური ნათესაობა ჰქონია ჩვენთან, და გაგვაცნონ ახლო მისი საუნჯეო?“ (Sitzungsberichte d. k. Preussischen Akademie der Wissenschaften, 1903,

XXXIX). ის რაც უცხოელებისათვის შესაძრევი გახდა მხოლოდ მათსავე საუკუნიდან, ჩვენ, ქართველების მიერ. თავისთავად იგულისხმება, დიდხნით ადრე იყო შემჩნეული: მაგრამ ჩვენში, სამწუხაროდ, არ იყო პირობები ამ უმდიდრესი და უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლისა და ათვისებისათვის. თვითმპყრობელ რუსულ ბიუროკრატიას. რომელმაც ჩვენი ქვეყანა ექსპლოატაციისა და ჩაგვრის ობიექტად აქცია და რომელიც მხოლოდ იმას ფიქრობდა. „что ны тело оставалось здесь грузинское, душа же была русская“, არ შეეძლო ხელი შეეწყო ქართული კულტურის. კერძოდ. ლიტერატურის, შესწავლისა და აყვავებისათვის. ის აღევნიდა და სპობდა ყოველსავე ეროვნულს. იქამდე. რომ, თანახმად დამოწმებული ცნობებისა, მისი წარმომადგენელი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჰკრეფდნენ უძველეს ქართულ ხელნაწერებს, ურმებით ჩამოჰქონდათ ისინი თბილისში და აქ მათ ან ცეცხლში სწვავდნენ, ან მტკვარში ჰყრიდნენ. სკოლებში. სადაც უსასტიკესი რუსიფიკაცია მძინვარებდა. თავისთავად გასაგებია. ქართულ ლიტერატურას არ ასწავლიდნენ, პირიქით. თუ რომელსამე მოსწავლეში ასეთ სურვილს აღმოაჩენდნენ, იმას დაუყოვნებლივ სკოლიდან აძევებდნენ. თუ განათლებულ, ინტელიგენტურ წრეში აღმოჩნდებოდა ისეთი ენთუზიასტი, რომელიც ქართული მწერლობის შესწავლასა და დამუშავებას ჰკიდებდა ხელს, მას ასეთი მუშაობა უნდა ეწარმოებია არალეგალურად, როგორც იტყვიან — იატაკქვეშ. რადგანაც ასეთი საქმიანობისათვის მას არამც თუ გასაქანს არ აძლევდნენ. არსებობის საშუალებასაც კი უსპობდნენ. ჩვენ არ გვქონდა უმაღლესი სკოლა. სადაც შესაძლებელი იქნებოდა მეცნიერული, კვლევა-ძიებითი მუშაობა. ძველს რუსეთში ორი კერა არსებობდა მხოლოდ, სადაც. სხვა აღმოსავლურ დისციპლინებთან ერთად, განსაზღვრული ადგილი ქართულ ენასა და ლიტერატურასაც ჰქონდა დათმობილი: ეს იყო ე. წ. აღმოსავლურ ენათა ლაზარიანთ ინსტიტუტი მოსკოვში და აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი პეტერბურგის უნივერსიტეტში; მაგრამ ამ კერათა საქმიანობა. განსაკუთრებით პირველის, იმდენად მეცნიერულ მუშაკთა მომზადებისაკენ არ იყო მიმართული, რამდენადაც აღმოსავლეთის საელჩოებისათვის დრაგომანებისა და მოხელეების დაგეშვისაკენ. საჭირო იყო ნიჭი. მომზადება. ენთუზიაზმი, ენერგია და კადნიერება განსვენებულს აკად. ნ. მარისა. რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე შექმნილიყო, ისიც უმთავრესად 1905 წლის რევოლუციის შემდეგ, ქართველოლოგიის ის სკოლა. რომელმაც შესაძლებელი გახადა დასაწყისი ნამდვილი მეცნიერული მუშაობისა ქართული ლიტერატურის ისტორიაშიც.

ნამდვილი პირობები ქართული ლიტერატურის მეცნიერული შესწავლისათვის შეიქნა მხოლოდ ცარიზმის დამხობის შემდეგ, განსაკუთრებით კი ოქტომბრის დიდი რევოლუციის მეოხებით. ამ შესწავლის მტკიცე ნიადაგზე დაყენებას ხელს უწყობდა, პირველ ყოვლისა, კომუნისტური პარტიის ლოზუნგი გარდასულ ეპოქათა კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის კრიტიკულად ათვისების შესახებ; მეორე — უკვდავი ლენინისა და გენიალური სტალინის ნაციონალური პოლიტიკა, რომელიც საბჭოთა კავშირში შემა-

ვალ ყველა ერს აძლევდა და აძლევს თავისი წარსულისა და აწმყონის შესწავლის სტიმულს; დასასრულ — რევოლუციის შემდეგ ჩვენში ჩამოყალიბებული სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის დაწესებულებანი, პირველ რიგში კი უმაღლესი სკოლა.

1918 წლის 26 იანვარს (ძველი სტილით) ოფიციალურად გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც დღეს დიდი ბელადის სახელს ატარებს და რომელშიაც ქართული ლიტერატურის ისტორიამ, თავისთავად გასაგებია. ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა. ქართული ლიტერატურა, რომელსაც თავდაპირველად აქ ერთი პირი (პროფ. კ. კეკელიძე) უძღვებოდა და რომელიც ძველი მწერლობის ისტორიით (V—XVIII სს.) ამოიწურებოდა, დღეს წარმოდგენილია ორი კათედრით და „სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტით“. ამ კათედრებსა და ინსტიტუტში ამჟამად მუშაობს 18 მეცნიერი: ოთხი პროფესორი და ოთხმეტი დოცენტი (3 დოქტორი, 10 მეცნიერებათა კანდიდატი). გავლილი ოცი წლის მანძილზე მომზადდა მეცნიერ მუშაკთა კადრები, აკადემიურად გამოიკვა ძირითადი და მნიშვნელოვანი ძეგლები ძველი და ახალი ქართული ლიტერატურისა. დამუშავდა ცალკეული საკითხები და სისტემატური კურსი ქართული ლიტერატურის ისტორიისა, ერთი სიტყვით. საფუძველი ჩაეყარა ქართული ლიტერატურის ისტორიას, როგორც გარკვეულ სამეცნიერო დისციპლინას.

მე დღეს მიზნად არ ვისახავ თავი მოგაწყინოთ დაწვრილებითი ანგარიშით იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა ამ ხნის განმავლობაში ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის ხაზით. თქვენს ყურადღებას შევაჩერებ მხოლოდ ერთ-ერთ იმ პრობლემაზე, რომლის დამუშავება და მეცნიერული გაშუქება მთავარი საზრუნავი საქმე იყო, ყოველ შემთხვევაში. ძველი ქართული ლიტერატურის კათედრისათვის. ეს პრობლემაა: ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობანი. კერძოდ — ქართული ლიტერატურის წვლილი ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში.

რატომ იყო ამ შემთხვევაში ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობანი საკანგებოდ, გამოყოფილი და ხაზგასმული?

დღეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბიზანტიური კულტურა ერთ დროს მსოფლიო კულტურის როლში გამოდიოდა: საშუალო საუკუნეებში მის ნიადაგზე იფურჩქნებოდა არა მარტო წინააზიისა და რუსეთის ქრისტიანული კულტურა, არამედ დასავლეთ-ევროპისაც. როგორც არ უნდა მიჩქმალონ ევროპის ბურჟუაზიულმა მეცნიერებმა ამ კულტურის მნიშვნელობა, მათ არ შეუძლიათ იმისი უარყოფა, რომ, სხვა პირობებთან ერთად, ამ კულტურამ ნიადაგი შეუმზადა ევროპის განახლებასა და რენესანსს. აქედან გამომდინარეობს: თუ ქართულ ლიტერატურას რაიმე დამსახურება მიუძღვის ბიზანტიური მწერლობის წინაშე. მას ერთგვარი დამსახურება ევროპის კულტურის წინაშეც ჰქონია.

ცნობილია აგრეთვე, რომ ბიზანტიური კულტურა წარუშლელ დაღს ასვამდა ქართული ცხოვრებას ყოველ მხარეს; ბიზანტიური მწერლობა ერთ-ერთი მთავარი ნაკადი იყო, რომელიც ასაზრდოებდა ქართულ ლიტერატურას

დღიდან მისი არსებობისა. ეს ნაკადი არ შესუსტებულა და არ შეწყვეტულა, ყოველ შემთხვევაში, მეთხუთმეტე საუკუნის ნახევრამდე, როდესაც თხზუ-ტია თურქებმა დაიპყრეს. ეს გასაკვირვებელი არ არის: ქრისტიანულ საქართვე-ლოს შტკიცე იდეოლოგიური კავშირი ჰქონდა ბიზანტიასთან, როგორც ქრის-ტიანული კულტურის კერასთან.

ცნობილია, რომ ბერძნები თავის თავს, როგორც კულტურის მატარებელს, „ელინს“ უწოდებდნენ, სხვებს კი, კერძოდ ქართველებსაც, „ბარბაროსებს“. ნაციონალური თვითშეგნება ქართველებისა მათგან თხოულობდა ამ სათაკილო სახელწოდების ჩამოშორებას და კულტურულად ბიზანტიელებთან გათანასწო-რებას. ამიტომ მათ მიზნად დაისახეს ზუსტად და მთლიანად ამოეწურათ ბი-ზანტიური ლიტერატურა, მეცნიერება, ხელოვნება, ფილოსოფია, ერთი სიტ-ყვით — კულტურა. ამ მიზნით ითარგმნება ღირსშესანიშნავი თხზულებები თეოლოგიიდან, ფილოსოფიიდან და მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან. რო-გორიცაა: იურისპრუდენცია, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მედიცინა, გრა-მატიკა, განსაკუთრებით კი ასტრონომია და ისტორია. მოკლე დროში ამ მი-მართულებით ისეთი ეფექტი მივიღეთ, რომ ქართველები სრული შეგნებით ამბობენ: ჩვენმა მწიგნობრებმა და მოღვაწეებმა თავიანთი თარგმანებით „ნა-კლულოვანება ენისა ჩუენისა აღავსეს და რომელნი ესე ბარბაროსად წოდებ-ბულ ვიყვენით ელინთა მიერ. უსწავლულობისათვის და უმეცრებისა ჩუენისა, მათთანავე აგვრაცხნეს სიბრძნითა თვისითა“. ეს, რასაკვირველია, ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ქართველები მარტო მთარგმნელები იყვნენ და თავისი საკუთა-რი, დროინდელი ლიტერატურაში არაფერი შეუქმნიათ. რასაკვირველია, შეუქმნიათ და ძალიან ბევრიც, დიდად მნიშვნელოვანი! ეს დროინდელი შე-მოქმედება, რამდენადაც ის, ქართული სოციალ-ეკონომიური და კულტურული ცხოვრების პირობებში, ანარეკლია იმავე ბიზანტიურ-ქრისტიანული კულტუ-რისა, თავისებური წვლილია ბიზანტიური მწერლობის საგანძურში; მით უმეტეს, რომ დღეს სადაო არავისათვის აღარ არის, რომ ბიზანტიანიზმის, როგორც გარკვეული კულტურული ტიპის, აღმოსავლურ ინგრედიენტთა შორის ქართულ ელემენტებსაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული პრობლემის წამოყენებისას, მე მაინც მხედველობაში მაქვს არა დროინდელი ქართული ლიტერატურა. არამედ ნა-თარგმნი ბერძნულიდან თუ ისეთი ენებიდან, რომლებზედაც იმავე პერძნუ-ლიდან სთარგმნიდნენ. მაშასადამე, საკითხი ასე ისმება: შემოუნახავს თუ არა ბერძნულიდან ნათარგმნი ქართულ ლიტერატურას ისეთი მასალები, რომელნიც ბიზანტიური მწერლობის ისტორიის ლაკუნებს ავსებენ?

ასეთი პრობლემის წამოყენება და იმაზე კვლევა-ძიებითი ყურადღების გამახვილება არ არის მოკლებული არც საფუძველს და არც ინტერესს. საქმე-ისაა, რომ ბიზანტიის მწერლობის და მასთან დაკავშირებით მსოფლიო ლიტე-რატურის ისტორიკოსებს, რომელნიც დღეს უდიდეს ინტერესს იჩენენ ძველი ქართული ლიტერატურისადმი, ეს უკანასკნელი შეიძლება იმდენად დამოუკი-დებლივ, თავისთავად არ აინტერესებდეს, რამდენადაც როგორც წყარო სა-ჭირო ცნობების მოსაპოვებლად და შესავსებად. ამიტომ ჩვენც, მკვლევარნი:

უძველესი ქართული ლიტერატურისა, ვცდილობთ ქართულ მწერლობაში ხაზი გავუსვათ იმ. მასალებს, რომელნიც მეცნიერებაში საძიებელნი გამხდარან, და ამით, ერთი მხრით, გავაღიზიანოთ და, მეორე მხრით, დავაკმაყოფილოთ უცხოელების მეცნიერული ცნობისმოყვარეობა. ეს ცნობისმოყვარეობა ამჟამად მართლაც იმდენადაა გაღიზიანებული, რომ დღეს ევროპაში თუ ამერიკაში იშვიათად გამოვა რომელიმე სეროზული ნარკვევი ძველი მწერლობის ისტორიიდან, რომელიც ასეთუისე ანგარიშს არ უწევდეს; ან არ ცდილობდეს გაუწიოს. ქართულ მასალებსაც. და არც ცდებიან ასეთი ნარკვევების ავტორები: იშვიათია ისეთი ძველი ბიზანტიის ლიტერატურისა, ქართულ მწერლობაში გადმოსული, რომელიც ქართულ თარგმანში რაიმე საყურადღებო რედაქციულ ვარიანტს არ იძლეოდეს. ესეც, რასაკვირველია, თავისებური წვლილია, რომელიც ქართულ მწერლობას ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში შეაქვს.

ამიტომ, როდესაც ჩვენ ამ წვლილზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში იმდენად რედაქციული თავისებურებანი და ვარიანტები არა გვაქვს, რამდენადაც მთლიანი თხზულებანი, რომელნიც ორიგინალებში დაკარგულან და ქართულ თარგმანში შემონახულან. რამდენადაა უნივერსიტეტის მეცნიერ მუშაკთა მიერ ასეთი მასალები გამოვლინებული და როგორაა გამოვლინებული? ამის ნათელსაყოფად ჩვენ მოგვიხდება დარგობრივად მიმოვიხილოთ ბიზანტიური ლიტერატურა, პირველ რიგში თეოლოგიური, ვინაიდან ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობანი უმთავრესად თეოლოგიურ ლიტერატურაშია გამოქვეყნებული; საერო, მხატვრული მწერლობის ხაზით კი ქართული ლიტერატურა დაკავშირებულია არა ქრისტიანულ ბიზანტიასთან, არამედ მუსულმანურ აღმოსავლეთთან.



ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში ერთ-ერთი კარდინალური პრობლემაა ბერძნული სექტანტის (ბიბლიური ტექსტის) რესტავრაცია. მისი პირვანდელი, დღეს წარყვნილი, სახის აღდგენა. ამას მეცნიერება ლამობს სხვადასხვა ენაზე შესრულებული თარგმანების საშუალებით. ცნობილია სამი რეცენზია ბერძნული სექტანტისა: ორიგენის ჰეგზაპლები (III ს.), რომელიც პალესტინაში იყო გავრცელებული, ლუკიანე ანტიოქელის რეცენზია (IV ს.), რომელსაც *Κεινή* ეწოდებოდა და ანტიოქიისა და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოებში იყო მიღებული; ისვიქი ალექსანდრიელისა, რომელიც ალექსანდრიაში იყო ფეხმოკიდებული. სექტანტის არსებულ თარგმანებს საფუძვლად უდევს ერთ-ერთი აქ დასახელებულ რეცენზიათაგან. ვინაიდან ქართლს თავდაპირველად კავშირი ჰქონდა სირიანტიოქიასთან, სადაც მიღებული იყო ლუკიანეს რეცენზია, აპრიორულად შეიძლებოდა თქმა იმისა, რომ უძველეს ქართულ თარგმანს საფუძვლად უდევს ლუკიანეს რეცენზია. ეს აპრიორული მოსაზრება დღეს გამართლებული და დამტკიცებულია ტექსტის უშუალო ანალიზით და გამოწვლილვით. ლუკიანეს რეცენზია ბერძნულად შემონახულა მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტებით,

რომელთაც უმთავრესად იოანე, ოქროსპირის ეგზეგეტიკურ-პოეტიკურ ციტატებში პოულობენ. ქართულ ბიბლიურ ტექსტს კი ეს რეცენზია მთლიანად სახით შემოუნახავს. ამით ქართულ ტექსტს უდიდესი, პირდაპირ განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერებაში, კერძოდ ბიბლიოლოგიაში.

ეგვე უნდა ითქვას, ორიგენის ბიბლიოლოგიური შრომების შესახებაც. მისი პეგზაპლები რომ ძველად საქართველოში ცნობილი იყო „ექუსშთასაფლედის“ სახელით, ეს დამოწმებულია არსენ იყალთოელის მიერ ვიორჯი ამარტოლის „ხნონოგრაფის“ თარგმანში (ს. ყ ა უ ზ ჩ ი შ ვ ი. ლ. ი. ს. გამოცემა, თბილისი, 1920, წ. გვ. 237). მაგრამ უფრო საინტერესოა, რომ ქართულ მწერლობას; როგორც ახლა ირკვევა, ოთხთავის უძველეს თარგმანში შემოუნახავს ელემენტები ორიგენის სახელთან დაკავშირებული კ ე ს ა რ ი უ ლ ი (პალესტინაში) რეცენზიისა. ესეც დიდმნიშვნელოვან აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს მეცნიერებაში.

ყოველივე ზემონათქვამის გამო საკითხი ქართული ბიბლიური ტექსტის შესახებ სერიოზული კვლევა-ძიების საგნადაა დღეს ქცეული უცხოეთის სამეცნიერო წრეებში. ამ საკითხისადმი ინტერესის გაძლიერებაში უმნიშვნელო არ დარჩენილა „ეკლესიასტეს“ ქართული რედაქციების გამოცემა, რომელიც შესრულებულია ჩვენ მიერ („თარგმანება ეკლესიასტესი“ მიტროფანე ზმირნელი-სა, თბილისი, 1920 წ.).

ბიბლიოლოგიასთან მტკიცე კავშირშია ე. წ. ეგზეგეტიკა. ეს დარგი მწერლობისა მდიდრადაა წარმოდგენილი ბიზანტიის ლიტერატურაში, აქედან ქართულშიაც, ვინაიდან არაფერი ღირსშესანიშნავი ამ დარგში ქართველებს გადმოუთარგმნელი არ დარჩენიათ. ამგვარად, ჩვენ გვაინტერესებს ისეთი თხზულებები, რომელნიც დროთა ვითარებაში ბერძნულ ენაზე დაკარგულან, ქართულ თარგმანში კი შემონახულან.

ჯერ კიდევ 1901 წელს აწ განსვენებულმა აკად. ნ. მ ა რ მ ა აღმოაჩინა უძველეს ქართულ თარგმანში იპოლიტე რომაელის (III ს.) რამდენიმე, დღეს უკვე დაკარგული, ეგზეგეტიკური შრომა, რომელთაგან ერთი — „თარგმანება ქება-ქებათაჲ“ ვახდა საგანი მისი სადოქტორო დისერტაციისა (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, III). ამ თხზულებების გამოცემამ ყუმბარასავით იფეთქა დასავლეთ-ევროპის სამეცნიერო წრეებში, რადგანაც ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში ეს იყო მოულოდნელი აღმოჩენა, ნამდვილი სურპრიზი, რომელიც იპოლიტეს შრომათა რიცხვს ხუთი ნაშრომით აღიდებდა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია აღმოჩენა ერთი ეგზეგეტიკური თხზულებისა, რომელსაც ეწოდება „თარგმანება ეკლესიასტისა“. ეს თხზულება ვკუთვნის მეცხრე საუკუნის ბიზანტიელ მწერალს, ცნობილს არისტოტელიეს მიტროფანე ზმირნელს, რომელიც, როგორც ანტიფოტოანური პარტიის წარმომადგენელი, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იმ დროის ბიზანტიურ ცხოვრებაში. არავითარი კვალი ამ თხზულებისა ბერძნულ ენაზე არ შენახულა, არც ის იყო ამდენხანს ცნობილი, რომ მიტროფანეს ასეთი თხზულება დაუწერდა. მისი ქართული თარგმანი შესრულებულია პეტრიწონის სალიტერატურ-

რო სკოლაში XI — XII ს. „ეკლესიასტე“ ბიბლიურ წიგნთა შორის ყველაზე უფრო ფილოსოფიურია. ამიტომ მისი კომენტარიები, თეოლოგიურის გარდა, ფილოსოფიურ მნიშვნელობასაც არაა მოკლებული. მეტად ხაინტერესო და დამახასიათებელია მიტროფანეს დამოკიდებულება კლასიკურ ფილოსოფიასთან, მისი ეგზეგეტიკური მეთოდები, კოსმოლოგიურ-ასტრონომიული შეხედულებები, მისი ანთროპოლოგია, ესქატოლოგია და თეოლოგია. ეს თხზულება, რომელიც ჩვენ მიერ იქნა აღმოჩენილი და გამოცემული 1920 წელს, ავსებს მეცხრე საუკუნის ბიზანტიის კულტურისა და ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხარვეზს.

ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიას ქართულმა მწერლობამ შემატა მეტად შესანიშნავი ეგზეგეტიკური „კატენები“, ისეთი მთლიანი და სრული, რომელთა მსგავსი ცნობილ კატენებს შორის მეორე არ მოიპოება. მნიშვნელობა ამ თხზულებისა, რომლის კვალი-ბერძნულ ენაზე უკვე აღარ ჩანს, სხვათა შორის, იმაშიც მდგომარეობს, რომ იმას შემოუნახავს ექსცერპტები ისეთი თხზულებებიდან და ავტორებიდან, რომელთა ხსენება დღეს უკვე გამქრალია. თხზულება ქართულად XII საუკუნეშია თარგმნილი<sup>1</sup>.

შემდეგი დარგი ლიტერატურისა, რომელიც ბიზანტიაში დიდად დამუშავებულა, არის დოგმატიკურ-მისტიკური და პოლემიკურ-ჰომილეტიკური მწერლობა. აღნიშნული დარგი დიდად მნიშვნელოვანი იყო ქრისტიან ერთა ლიტერატურაში. აქ მოცემულია ფილოსოფია ქრისტიანობისა, ცდა მისი შერიგებისა და შეგუებისა ელინურ ფილოსოფიასთან, ბრძოლა უკანასკნელთან და თვით ქრისტიანობის წიაღში წარმოშობილ სხვადასხვა სექტასთან. ეს მწერლობა მთელი მისი სიღრმე-სიგანით გადმონერგულ იქნა საქართველოში, აქ მან შექმნა ისეთი ღირსშესანიშნავი კრებულები, როგორცაა არსენ იყალთოელის „დოგმატიკონი“. მწერლობის ამ დარგს შემოჰქონდა ჩვენში მთავარი მიმართულებანი ბიზანტიური ფილოსოფიისა, როგორცაა არისტოტელიზმი, ნეოპლატონიზმი. მის ნიადაგზე ცდილობდნენ ჩვენში პლატონიზმისა და არისტოტელიზმის შეთანხმებას. ამ დარგის ლიტერატურაზე იწვრთნებოდნენ ჩვენში, როგორც ეფრემ მცირე მოწმობს. ისეთი წარმომადგენელი ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნებისა, როგორც იყვენ თვით ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი, იოანე ტარიჭისძე, კიმჭიმელი და სხვა. თანახმად აღებული გეზისა, ჩვენ არ ჩამოვთვლით წმინდა ორიგინალურ. ქართულ თხზულებებს, რომლებიც ჩვენში თანდათანობით შექმნილა ამ დარგში. აღნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ, როგორც მიმდინარე კვლევა-ძიება ამჟღავნებს, ქართულ ლიტერატურას ამ დარგშიც არა ერთი და ორი ისეთი თხზულება შემოუნახავს, რომელნიც მათ სამშობლოში, ბიზანტიაში, უკვე აღარ ჩანან. ასე რომ ქართული მასალების საშუალებით და დახმარებით სულ ახალახალი ჰორიზონტი იშლება ბიზანტიის მწერლობის ისტორიაში. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მესამე

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I<sup>2</sup>, გვ. 426-427; მისივე „თარგმანება ეკლესიასტისა მიტროფანე ზვირნელისა, გვ. XXVII—XXX.

საუკუნის გამოჩენილი ფილოსოფოსის და თეოლოგის ორიგენის ობიექტუ-  
ლების Περὶ ἀρχῶν გარშემო ამტყდარი დავა და კამათი. ამ თხზულებამ იმ-  
დროინდელი მოაზროვნე საზოგადოება ორ ბანაკად გაჰყო: ერთნი ებრძოდნენ  
იმაში გამოთქმულ აზრებს, მეორენი კი გამოდიოდნენ მათი დამცველის როლ-  
ში. უკანასკნელთა მებაიარაღებულ ყოფილან პამფილე და ევსევი კესარიელე-  
ბი (IV ს), რომელთაც ექვს წიგნად დაუწერიათ ორიგენის აპოლოგია. ამ  
აპოლოგიიდან შენახულა მხოლოდ პირველი წიგნი, ისიც ლათინური თარგმა-  
ნით, რომელიც რუფინოსს ეკუთვნის. როგორც ქართველი დიდი მწიგნობრის,  
ეკვთიმე ათონელის, ერთი მოწმობიდან ვიცით, ჯერ კიდევ მეათე  
საუკუნემდე ქართულად თარგმნილი ყოფილა როგორც ორიგენის Περὶ ἀρχῶν,  
ისე მისი აპოლოგია პამფილე და ევსევი კესარიელისა. ეს მეტად მნიშვნელო-  
ვანი და საყურადღებო ფაქტია არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო ლი-  
ტერატურის თვალსაზრისითაც.

ფილოსოფიურ-თეოლოგიური დარგიდანვე უნდა აღვნიშნოთ ტრაქტატი:  
„თარგმანება სიტყვისა: ვითარცა იქმნა პირმშო მრავალთა ძმათა შორის, ეგრე-  
თვე პირმშო მკუდართაგან ღირს იჩინა ყოფად“. ეს ტრაქტატი, რომელიც  
ჩვენ აღმოვაჩინეთ გელათის ხელნაწერებში და რომელიც მზადა გვაქვს გამო-  
საცემად, მიეწერება ბიზანტიის გამოჩენილ ფილოსოფოსს მიხეილ ფსე-  
ლოსს, თუმცა მისი სახელით ცნობილ თხზულებათა შორის ის დღეს აღარ  
ჩანს; ერთი სიტყვით, დედანი მისი აღარ მოიპოვება. ის ისეთ პრობლემას  
ეხება, რომელიც XI—XII სს. მოაზროვნე წრეებს ძალზე აინტერესებდა.

მდიდარი პოლემიკური ლიტერატურული მემკვიდრეობიდან, რომელიც  
ქართულ ენაზე შემონახულა, ამ შემთხვევაში უნდა დავასახელოთ ერთი ანტი-  
კათოლიკური თხზულება, რომლის დედანი ბერძნულ ენაზე არ ჩანს. ყოველ  
შემთხვევაში ჯერ აღმოჩენილი არაა. ეს თხზულება, რომელიც ლათინთა და  
ბერძენთა ეკლესიური გათიშვის საკითხს ეხება, ეკუთვნის XI—XII საუკუ-  
ნეთა მწერალს ევსტრატონიკიელს. ეს არის ცნობილი თეოლოგი და  
ფილოსოფოსი, მოწაფე მიხეილ ფსელოსისა და იოანე იტალისა, რომელიც  
ერთხანს აწუნებულ იყო ოფიციალურ ბიზანტიურ წრეებში. თუ ჩვენ მხედ-  
ველობაში გვეჩვენება ის პერიოდი ბიზანტიური რენესანსისა. როდესაც მიხეილ  
ფსელოსი და იოანე იტალი ბიზანტიელთა ყურადღების ცენტრში იდგნენ, ნა-  
თელი იქნება, თუ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მათი შეგირდის დღეს უც-  
ნობი თხზულების აღმოჩენას ქართულ ენაზე.

მეორე ძეგლი პოლემიკური მწერლობისა, რომლის ბერძნული დედანი  
დღეს აღარ არსებობს, არის ანტიმონოფიზიტური ტრაქტატი „დღესასწაულთა-  
თვის“. ამ თხზულებაში დასმული და გარკვეულია ეორტალოგიური საკითხები,  
რომელიც მეხუთე-მეექვსე საუკუნეში ბიზანტიის აღმოსავლურ ნაწილს მე-  
ტად აღელვებდა. ის მიეწერება, ქართული თარგმანის მიხედვით, იმპერატორს  
იუსტინიანე დიდს და ნათარგმნია არაუგვიანეს მერვე საუკუნისა. ჩვენ მიერ  
გამოცემულია რუსული თარგმანი თხზულებისა, საჭირო გამოკვლევის თან-  
დართვით.

მდიდარი, მეტად საინტერესო მისტიკური მწერლობის დარგიდან ქარ-

თულ თარგმანში შემონახულა ხუთი ავტორი, რომელთა ხსენება ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში, მათი თხზულებების დაკარგვის გამო, დიდხანია გამჭრალა. ესენია: მარტვირი საბაწმინდელი, სტეფანე მხოვარი, პიმენი, საპაკი და აბრაამ მონაზონები. მათი შრომები, რომელნიც ქართულად მეთუ საუკუნემდე უთარგმნიათ, საინტერესო მასალას იძლევიან ფილოსოფიურ-რელიგიური აზროვნების იმ მიმართულების გასათვალისწინებლად, რომელსაც მისტიციზმი ეწოდება.

ესევე უნდა ვთქვათ ჰომილეთიკური ლიტერატურის შესახებაც. ამ დარგში, რომელიც მდიდრადაა წარმოდგენილი ქართულად სხვადასხვა „მრავალთავის“ სახით, შენახულა ხუთი ისეთი ავტორი, რომელთა კვალი ბიზანტიურ მწერლობაში უკვე აღარ ჩანს. მათ სახელთან დაკავშირებულ თხზულებებში დასმულია უმთავრესად ქრისტოლოგიური საკითხები, რომლითაც მწვავედ იყვნენ დაინტერესებული ქალკედონისტთა და ანტიქალკედონისტთა წრეები ნეხუთე — მეექვსე საუკუნეებისა, როგორც აღმოსავლეთში, ისე ჩვენშიაც. ეს ავტორებია: ტიმოთე იერუსალიმელი, პეტრე იერუსალიმელი, ივლიანე ტაბიელი, თეოდულე და ალექსანდრე კვიპრელი. მათი თხზულებანი ქართულად მერვე საუკუნემდეა გადმოღებული.

უფრო შესამჩნევი აღმოჩნდა ძველი ქართული ლიტერატურის წვლილი ბიზანტიის ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული მწერლობის დარგში. მიქელ როდრეკილის „იადგარი“ და გიორგი ათონელის „მინეონი“ შეიცავენ ისეთ ჰიმნოგრაფიულ მასალას და ისეთი ავტორებისას, რომელთაც დღეს ბიზანტოლოგია არ იცნობს. უფრო საყურადღებოა ლიტურგიკული მწერლობა. ამ დარგში მეცნიერება დიდხანია დაინტერესებულია იმ წიგნის ჩასახვითა და თანდათან განვითარებით, რომელიც რეგულატორია ღვთისმსახურებისა და „ტიპიკონის“ სახელითაა ცნობილი. ამ წიგნის ჩამოყალიბება დაიწყო იერუსალიმში ე. წ. აგიოტაფიტების წრეში, მაგრამ არავითარი კვალი მისი, გარდა მეექვსე საუკუნის პილიგრიმის სილვია აქვიტანელის ფრაგმენტარული ცნობებისა. არ არსებობს პირველი ათი საუკუნის მანძილზე. ქართულ მწერლობაში აღმოჩნდა მთლიანი სახე ამ წიგნისა მეშვიდე საუკუნის რედაქციით; მას ეწოდება „იერუსალემის განჩინება“ ან „კანონი“, გადმოთარგმნილია ქართულად არა უგვიანეს მერვე საუკუნის ნახევრისა და გამოცემულია ჩვენ მიერ. ამ თხზულების აღმოჩენამ და გამოქვეყნებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა დასავლეთ-ევროპაში, ვინაიდან ის ავსებს თითქმის ათი საუკუნის ხარვეზს ლიტურგიკის ისტორიაში; ცალკეული ნაწილები მისი და კუპრუები გადათარგმნილია გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. ასევე საძიებელი იყო ათონური რედაქცია ტიპიკონისა; ეს რედაქციაც ქართულ მწერლობაში აღმოჩნდა: ის მოთავსებულია გიორგი ათონელის მიერ გადმოთარგმნილს „დიდ სვინაქსარში“ და საყურადღებოა იმით, რომ, გარდა ათონის პრაქტიკისა, შეიცავს კონსტანტინეპოლის აია-სოფიის წესს, აგრეთვე ელემენტებს საბოლოოდ დაკარგულს „სტოდორელთა ტიპიკონისას“. უკანასკნელი რედაქცია ტიპიკონისა მოცემულია საბა პალესტინელის განჩინებაში, რომლის ნუსხები ბერძნულ ენაზე მხოლოდ მეცამეტე საუკუნიდან გვხვდება. ყველაზე

ადრინდელი და უმარტივესი ვერსია ამ განჩინებისა შენახულა ქართულ-ენაში, ის გადმოთარგმნილი ყოფილა დავით აღმაშენებლის მეფობაში. ერთი სიტყვით, ისეთ მდიდარს და მნიშვნელოვან მასალას „ტიპიკონის“ ისტორიისათვის, როგორც შემოუნახავს ქართულ მწერლობას, ბერძნულ ენაზე ვერ ვპოულობთ, ეს მასალა დღეს მთლიანად თითქმის გამოქვეყნებულია ჩვენ შიგნით, რის გამოც ის მეცნიერების ფონდში მტკიცედაა შესული.

განსაკუთრებით მდიდარ სამკალს ბიზანტიური მწერლობის ისტორიას ქართული ლიტერატურა ჰაგიოგრაფიის დარგში აძლევს.

ჰაგიოგრაფიული ჟანრი მწერლობისა ერთ-ერთი უძველესი და პოპულარული ჟანრია ძველი ქართული ლიტერატურისა. მისი პოპულარობა იმითაც აიხსნება, რომ ჰაგიოგრაფია წარმოადგენდა არა მარტო „სულთა მარგებელ“ რომანის ჟანრს, არამედ ისტორიული მწერლობის ერთ-ერთ დარგსაც. იმდენადვე მნიშვნელოვანს, რამდენადც საკუთრივ ისტორიული მწერლობა. ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში, რომელნიც „წმიდათა“ ცხოვრება-მარტვილობას შეიცავენ, ავტორებს ისეთი დეტალები და რეალიები დაუტოვებიათ, რაც ნათესავს ქრონისტებსა და მემატიანეებს უყურადღებოდ რჩებოდათ ხოლმე.

ქართული ჰაგიოგრაფიის შესწავლა ჯერ ხეირიანად არც კი დაწყებულა. მაგრამ ის ცოტა რამ, რაც გაკეთებულა ამ დარგში, საკმაოდ ნათელსყოფს, რომ ქართველებს ძველად, ჯერ კიდევ მათე საუკუნემდე, ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა უთარგმნიათ საქრისტიანო მწერლობის ყველა ენიდან, როგორცაა, მაგალითად, ბერძნული, სირიული, სომხური და არაბული. მათე საუკუნემდე მათ გადმოუღიათ თითქმის მთელი ციკლი იმ დროს არსებულ ცხოვრება-მარტვილობათა, ე. წ. „კიმენის“ რედაქციისა. ესე იგი უბრალო. მარტვი ენით დაწერილნი. ამ დროს მათ გადმოუთარგმნიათ „ცხოვრებანი“ და „მარტვილობანი“, სხვათა შორის, ისეთი „წმიდანებისა“, რომელნიც მოღვაწეობდნენ ბიზანტიის აღმოსავლურ საზღვრებზე, — სირიასა და დამასკო-ბაღდადის ხალიფატში, — რის გამოც ისინი საბერძნეთში ან სრულიად არ იყვნენ ცნობილნი, ანდა ძალიან მალე დავიწყებას მისცემიან. ერთ-ერთი ასეთი თხზულება, — ტიმოთე ანტიოქელის „ცხოვრება“, მეტად საინტერესო ლიტერატურულად და ისტორიულად, ჩვენ ამ მოკლე დროში გამოვეცით. ის დაწერილი ყოფილა არაბულად, არაბულიდან უთარგმნიათ ბერძნულად, ხოლო ბერძნულიდან ქართულად; არც არაბული დედანი, არც ბერძნული მისი თარგმანი არ შენახულა, არსებობს, მაშასადამე. ქართული თარგმანი, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს როგორც არაბული, ისე ბიზანტიური მწერლობის თვალსაზრისით.

ჰაგიოგრაფიაში ცნობილია, რომ სხვადასხვა მწვალელებს, სექტანტური მოსაზრებით და მიზნით, ძველიდანვე დაუწყიათ ცხოვრება-მარტვილობათა შერყვნა და დამახინჯება; ისინი ან თვითონ ადგენდნენ ცრუსა და ყალბ აქტებს, ანდა უკვე არსებულში შექპონდათ თავიანთი ტენდენციები და ისეთი დაუჯერებელი ამბები, რაც ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებს საზოგადოდ სახელს უტეხდა. ასეთი თხზულებები ქართულადაც უთარგმნიათ ჯერ კიდევ მაშინ, სანამ ოფიციალური ცენზურა მათ ბიზანტიაში მოსპობდა. ამ „გარყვნილი“ კატეგორიიდან უნდა იყვნენ, სხვათა შორის, ის ფანტასტიური, დაუჯერებელი სასწაულე-

ბით აღსაქსე აპოკრიფული „ცხოვრებანი“ და „მარტვილობანი“, რომელნიც ქართულ თარგმანში შენახულან მხოლოდ და რომელნიც გამოცემულია ჩვეი მიერ, სახელდობრ: იოანე ურპაელის, აგათანგელე დამასკელის, ფილექტიმონის და პანსოფი ალექსანდრიელის.

ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული მწერლობა მეტად დიდს, საინტერესო და ბიზანტიის მწერლობისათვის უცნობ მასალას იძლევა. ამით აიხსნება ის ყურადღება, რომელსაც ბოლოდროს იჩენენ ამ მწერლობისადმი სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებანი როგორც საზღვარგარეთ. მაგალითად. ბოლანდის ტოთა უძველესი კოლეგია, ისე რუსეთში. ჯერ კიდევ რევოლუციამდე, 1915 წელს, რუსეთის სამეცნიერო აკადემიაში, თანახმად ჩვენი წერილობითი მოხსენებისა, რომელიც მას აკად. მ. მარმა წარუდგინა თავისი საკუთარი დასკვნით, შეიქნა საგანგებო სერია „Monumenta hagiographica Georgica“-ს სახელით, რომელსაც ჩვენი უშუალო ხელმძღვანელობით უნდა რვა ტომად გამოეცა ქართული ჰაგიოგრაფიის ისეთი ტექსტები, რომელთა ბერძნული თუ სხვა დედანი დღეს უკვე დაკარგულია. 1918 წელს, როდესაც გაიხსნა ჩვენი უნივერსიტეტი, გამოვიდა პირველი ტომი ამ გრანდიოზული წამოწყებისა, რომელმაც იმდენი ყურადღება დაიმსახურა საზღვარგარეთულ სამეცნიერო წრეებში, რომ იმაში მოთავსებული მასალა ნაწილ-ნაწილ ითარგმნებოდა ლათინურ ენაზე ცნობილი ორიენტალისტის და ჰაგიოლოგის პეტერსის მიერ. მასალები ამ სერიის შემდეგი ტომებისათვის დამზადებულია, საჭიროა მხოლოდ პირობები და სახსრები მათი გამოცემისათვის.

მეათე საუკუნის გასულისათვის ჰაგიოგრაფიაში ახალი ხანა იწყება. თანახმად განვითარებული გემოვნებისა და ლიტერატურული მოთხოვნილებისა, ბიზანტიაში იწყება ძველი „კიმენის“ რედაქციის ტექსტების შესწორება და მათი გავრცობა-შელამაზება. ამან საფუძველი ჩაუყარა ე. წ. მეტაფრასტულ ჰაგიოგრაფიას. ამ მიმართულების მამამთავრად ითვლება გამოჩენილი ბიზანტიელი მწერალი სვიმეონ ლოლოთეტი. საკითხი სვიმეონის მეტაფრასტული მოღვაწეობის, მისი ხასიათის, მოცულობისა და დროის შესახებ, ამდენხან მეცნიერებაში საცილობელი და გაურკვეველი, საბოლოოდ გაირკვა ამ ბოლოხანს ქართული მასალების საშუალებით. ჩვენს ძველ ნაწერებში აღმოჩნდა ერთი დოკუმენტი, ჩვენ მიერ რუსულად გამოცემული და კომენტარებული, რომელსაც ეწოდა „მოსახსენებელი მცირე სვიმეონისათვის ლოლოთეტისა“. ამ დოკუმენტიდან, რომელიც ეფრემ მცირეს ეკუთვნის, ირკვევა, რომ სვიმეონ ლოლოთეტს გადაუმეტაფრასებია შემოდგომა-ზამთრის (სექტემბერი-იანვარი) თვეთა ჰაგიოგრაფიული ტექსტები და თავისი შრომა 982 წელს დაუწყია.

სვიმეონის შრომის გამგრძელებლის შესახებ მეცნიერებამ არაფერი იცოდა. ჩვენ გამოვაქვეყნეთ ერთი დოკუმენტი, რომლიდანაც ვტყობილობთ, რომ დანარჩენი 7 თვის (თებერვალი-აგვისტო) ტექსტები გადაუმეტაფრასებია ერთს, ბიზანტიის ლიტერატურის ისტორიაში ამდენხან უცნობ მწერალს, იოანე ქსიფილიანოსს. რომელიც თავის შრომას 1081 წელს შესდგომია. ეს ცნობა სრულიად მოულოდნელი, ანაზღეული აღმოჩნდა ბიზანტიის მწერლობის ისტორიაში, ამიტომ მან ერთგვარი სენსაცია გამოიწვია დაინტერესებულ სა-

მეცნიერო წრეებში, როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ. ყველაზე ბაჟა რადღებო შეიქნა ის, რომ ქსიფილინოსის შრომა, რომელიც ბერძნულ ენაზე არ შენახულა, ქართულად თითქმის მთლიანადაა დაცული, ასე რომ შესაძლებელი ხდება საშუალო საუკუნეთა ბიზანტიური მწერლობის ერთ-ერთი მსხვილი ხარვეზის ამოვსება. ქართულად ქსიფილინოსის შრომა უთარგმნიათ მეტორმეტე საუკუნეში, დიმიტრი მეფის დროს (1125—1154), საფიქრებელია გელათის აკადემიაში. ეს უზარმაზარი, უდიდესი კულტურული ღირებულების შემცველი შრომა ჯერ კიდევ გამოცემას მოელის.



ჩვენ წარმოვადგინეთ ზოგადი და მეტად მკრთალი სურათი იმ აღმოჩენებისა, რომლებიც მოხდენილია უძველესი ქართული ლიტერატურის წიაღში და რომლებიც ავსებენ ბიზანტიური მწერლობის ისტორიის მნიშვნელოვან ხარვეზს. ამით, რასაკვირველია, არ ამოიწურება მთლიანად ის წვლილი. რომელიც ქართულ ლიტერატურას ბიზანტიის მწერლობის ისტორიაში შეაქვს და რომლის ცნობაში მოყვანას ერთ-ერთ მთავარ მიზნად ისახავდა ძველი ქართული ლიტერატურის კათედრა თავის მუშაობაში. ეს ახლად აღმოჩენილი ავტორები და მათი თხზულებები დღეს მოყვანილია ცნობაში<sup>1</sup>, მაგრამ ამით მუშაობა არ დამთავრებულა და არც შეიძლება დამთავრდეს.

მაშ რა პერსპექტივები გვესახება ჩვენ შემდგომი მუშაობის პროცესში?

1. აუცილებელივ საჭიროა გაღრმავება ძიებისა აღებული გეზით და უკვე აღმოჩენილი და გათვალისწინებული მასალების კრიტიკულ-აკადემიური გამოცემა. უნდა გამოვტყდეთ, რომ უძველესი ლიტერატურული ძეგლების გამოცემის მხრივ ძალიან ცოტაა ჯერჯერობით გაკეთებული.

2. თუ მხედველობაში გვექნება, რომ უძველესი პერიოდის ქართული მწერლობა მტკიცე ურთიერთობაში იმყოფებოდა, ბიზანტიურის გარდა, მახლობელი აღმოსავლეთის ქრისტიან ერთა ლიტერატურასთან, როგორიცაა სირიული, სომხური, არაბული. უნდა გაიშალოს კვლევა-ძიებითი მუშაობა ამ ურთიერთობათა ხასიათის გამოსავლინებლად, უფრო მეტად, ვიდრე ეს დღემდეა გაკეთებული. ამ მიმართულებითაც არანაკლები სურპრიზებია მოსალოდნელი მეცნიერებაში; ამის გარანტიაა აკად. ნ. მარის კაპიტალური გამოცემები (იპოლიტეს „ქება-ქებათა“, ანტიოქე სტარატიგის „წარტყუნვა იერუსალიმისა“ და სხვ.) და, თუ გნებავთ, ამ დღეებში ჩვენ მიერ გამოქვეყნებული „ცხოვრება“ ტიმოთე ანტიოქელისა, რომლის შესახებ ზემოთ ვლაპარაკობდით.

3. უმდიდრესი, შინაარსიანი და თავისებური ძველი ქართული საერო მხატვრული ლიტერატურა, ორიგინალური და ნათარგმნი, დაეინებით მოითხოვს

<sup>1</sup> კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1941 და „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“, 1927 წელი.

ქართულ-სპარსული და ქართულ-თურქული ლიტერატურული ურთიერთობის პრობლემათა უფრო ინტენსიურ დამუშავებას. საკმარისი არაა ამ დარგში მუშაობა შემოიფარგლოს რამდენიმე, თუგინდ მეტად მნიშვნელოვანი, ძეგლით (ვისრამიანი, ვეფხვისტყაოსანი, შაჰნამე, ქილილა და დამანა და სხვ.). სამკალი აქაც მდიდარია, არანაკლებ, ვიდრე ქართულ-ბიზანტიურ ლიტერატურულ ურთიერთობათა დარგში.

4. რაც შეეხება ახალსა და თანამედროვე ლიტერატურას, საჭიროა მკაფიოდ იყოს გარკვეული და ნაჩვენები, თუ როგორ ტყდებოდა და ტყდება ახალი, — ბურჟუაზიული (XIX—XX სს.) და სოციალისტური (XX ს.), — ცხოვრებისა და მშენებლობის მოვლენები მხატვრული შემოქმედების პრიზმაში, კვლევადიებამ უნდა დაგვანახოს. — ამბობს თუ არა ქართული ლიტერატურა თავის სატყვას და როგორ ამბობს? ამისათვის კი უნდა მიექცეს საგანგებო ყურადღება ქართულ-რუსულ და ქართულ-ევროპულ ლიტერატურულ ურთიერთობათა პრობლემებს.

ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობა მეტი ყურადღების ღირსია, მისი ყოველმხრივი შესწავლა დღესაც ათქმევინებს კომპეტენტურ მკვლევარს იმ სიტყვებს, რომელთაც მეთვრამეტე საუკუნეში განათლებული „ელონები“ „ბარბაროს“ ქართველთა წარმომადგენელს, გიორგი ათონელს, ეუბნებოდნენ ბიზანტიაში: „დალაცათუ ნათესავი ხარ ქართველი, სხვითა ყოვლითა სწავლულებითა სრულიად ბერძენი ხარო“. მისი მეცნიერული შესწავლა ქედმაღალ ევროპელებს ნათლად დაანახვებს, რომ ლიტერატურისა და საზოგადოდ კულტურის დარგში შემოქმედებითი უნარი არ არის მათი მონოპოლია და პრივილეგია. რომ ასეთს უნარს ქართველებიც არ ყოფილან მოკლებული, ის ქართველები, რომელთაც, პროფ. ა. ჰარნაკის გულახდილი განცხადებით, „თავისი ძველი კულტურით ძმური ნათესაობა ჰქონია მათთან“, ევროპელებთან. მაგრამ, იმავე ჰარნაკის სიტყვებით რომ ვიკითხოთ, „გამოჩნდებიან კი მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერები, რომელნიც შესძლებენ. შეისწავლონ“ ამ ერის ლიტერატურა და კულტურული მემკვიდრეობა? ჯერ მაინცდამაინც არც ისე მოჭარბებულად ჩანან! გული გიკვდება, როდესაც მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის მიმომხილველნი ქართული ლიტერატურის შესახებ დუმილს ამართლებენ შემდეგი სიტყვებით: *Leider liess sich für die georgische Litteratur kein sachkundiger und zugleich des Deutschen mächtiger Bearbeiter gewinnen* (პროფ. ბროკელმანი). საჭირო კია ვუცადოთ მათ შორის ასეთი მეცნიერების გამოჩენას? არა! ჩვენი კულტურული წარსულის შესწავლის ინიციატივა ჩვენს ხელში უნდა იყოს, ჩვენ თვითონ უნდა გადავლახოთ ყოველგვარი სიძნელე და ჩვენი სახე თვითონ ვაჩვენოთ მტრებსა და მეგობრებს. ჩვენ უნდა ჩვენი ხელით შევადლოთ მოწინავე მეცნიერების კარები, შევიდეთ შიგ ჩვენი კულტურულ-ლიტერატურული სიმდიდრით და ჩვენი სიტყვა ვთქვათ იქ. საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია ყოველგვარ პირობას გვიქმნის ამისათვის, საჭიროა მხოლოდ ის ახალგაზრდა მეცნიერები, რომელთა შესახებაც ჰარნაკი ლაპარაკობდა, ჩვენშივე გამოჩნდნენ და აქვე აღიზარდონ. ჩვენ, უნივერსიტეტის მუშაკთა პირველი, უფროსი თაობა, თანდათან მივდივართ:

ჩვენ გარდასრულვართ, სიბერე გვჭირს, ჳირთა უფრო ძნელა;  
დღეს არა, ხვაღე მოვკვდებით, სოფელი ასრე მჭნელია!

ჩვენ გამგრძელებლები გვინდა. ისეთი გამგრძელებლები, რომელნიც თავიანთი  
საქმიანობით სამშობლოს გულდამშვიდებით ათქმევიანებენ:

იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა.

დეე მოვიდეს, მოვიდეს, რაც შეიძლება მეტი რაოდენობით მოვიდეს!!

---